

შპს „New Pharm Group“ LTD
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები	12
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12
5. საქონლის თვითღირებულება	13
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13
7. ფინანსური ხარჯი	14
8. ფული და ფულის ექვივალენტები	14
9. სავაჭრო მოთხოვნები	14
10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
11. სხვა მიმდინარე აქტივები	14
12. ძირითადი საშუალებები	14
13. სავაჭრო ვალდებულებები	15
14. აღებული სესხები	16
15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს „New Pharm Group“ LTD

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	4,399,010
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	(2,375,129)
საერთო მოგება		2,023,881
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,048,353)
ფინანსური ხარჯი	7	(74,213)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,122,566)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(901,315)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(901,315)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული შემოსავალი		(901,315)



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	30,689	1,036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,044,281	907,111
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	921,644	272,447
გადახდილი ავანსები		6,556	24,745
სხვა მიმდინარე აქტივები	11	97,000	43,702
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,100,170	1,249,041
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	875,430	472,139
სულ გრძელვადიანი აქტივები		875,430	472,139
სულ აქტივები		2,975,600	1,721,180
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	968,811	732,955
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ		53,528	35,323
საგადასახადო ვალდებულება		21,573	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	14	106,612	7035
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,150,524	775,313
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	14	819,761	491,340
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		819,761	491,340
სულ ვალდებულებები		1,970,285	1,266,653
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		1,005,315	454,527
სულ კაპიტალი		1,005,315	454,527
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,975,600	1,721,180



შპს „New Pharm Group“ LTD

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შენიშვნები	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	454,527	454,527
წლის მოგება/(ზარალი)	-	901,315	901,315
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	901,315	901,315
დივიდენდის გაცემა	-	(350,526)	(350,526)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,005,316	1,005,316



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/(ზარალი):		901,315
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	12	40,277
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(137,170)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		(649,197)
სხვა დანახარჯები		104,245
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		235,855
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		495,325
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	12	(443,567)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(443,567)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	14	429,139
სესხების დაფარვა		(100,718)
გაცემული დივიდენდი		-350,526
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(22,105)
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	8	1,036
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		29,653
31 დეკემბრის მდგომარეობით	8	30,689



განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „New Pharm Group“ LTD (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 405115511, დაფუძნდა 2015 წლის 04 სექტემბერს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, თბილისი 0154, ი.ევდოშვილის ქ. №18. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ნიკოლოზ იმერლიშვილი	33.30%
დავით ჩქოფოია	33.30%
თორნიკე ჭიკაძე	33.40%

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, საშუალოდ ჰყავდა დასაქმებული 18 და 18 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება ამ თარიღის მდგომარეობით 2018 წელი 31 დეკემბერი, პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

მსს ფასს- ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი საგადასახადო აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს გარკვეულ სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით განსაზღვრული მე-3 კატეგორიის ტიპის საწარმოთათვის შეღავათს ითვალისწინებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

(ა) შემოსავლები ფარმაცევტული საქონლის მიწოდებიდან

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
გაცვლითი საშუალო კურსი 2018 წლის	2.5355	2.9913

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
დაუმთავრებელი მშენებლობა	20
საოფისე აღჭურვილობა	5-6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში _ პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნახე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით დისკონტირებით.

(გ) სესხის ხარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაყვნილი სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს ფარამცევტული პროდუქციის დისტრიბუცია-რეალიზაციას, ადგილობრივ ბაზარზე. საიდანაც 94% შეადგენს დღგ-თი განთავისუფლებულ სამედიცინო საქონლის რეალიზაციის ბრუნვას.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შემოსავლები	2018 წელი ლარი
რეალიზაცია	4,500,982
ფასდათმობა	(110,775)
სხვა შემოსავლები	8,803
სულ შემოსავალი	4,399,010

5. საქონლის თვითღირებულება

საქონლის თვითღირებულებაში შეყვანილია მხოლოდ საქონლის ღირებულება.

თვითღირებულება	2018 წელი ლარი
საწყისი მარაგები 01.01.2018	272,447
მარაგების შესყიდვა (უკან დაბრუნება)	3,024,326
საბოლოო მარაგები 31.12.2018	(921,644)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,375,129

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ხარჯის დასახელება	2018 წელი ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	588,690
საკონსულტაციო ხარჯი	117,129
რეკლამის ხარჯი	24,509
ცვეთა და ამორტიზაცია	40,277
საიჯარო ქირა	2,119
კომუნალური ხარჯი	1,160
კომუნიკაციის ხარჯი	15,043
ტრანსპორტირების ხარჯი	8,578
ზარალი საკურსო სხვაობიდან	73,469
მოგების გადასახადის ხარჯი	90,318
სხვა საერთო ხარჯი	87,063
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,048,355

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება ბანკის ოვერდრაფტსა და სესხებზე დარიცხული პროცენტისგან.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული სალაროში	30,686	407
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	604
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	3	25
სულ	30,689	1,036

9. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება ადგილობრივ ბაზარზე საქონლის რეალიზაციიდან.

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2018	01.01.2018
საქონელი	855,865	237,305
ნედლეული და მასალები	37,508	18,601
სხვა	28,271	16,541
სულ	921,644	272,447

11. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს მოკლევადიან გაცემულ სესხს ლარში, რომელსაც ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთითი -11.5 %.

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება

ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	448,837	5,775	6,923	14,410	475,946

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეძენა	426,158	12,039	5,370	-	443,567
ჩამოწერა	-	-	-	-	0
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	874,996	17,814	12,293	14,410	919,513

ცვეთა და გაუფასურება

ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	-	1,623	925	1,259	3,807
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ცვეთა წლის მანძილზე	27,464	4,397	3,529	4,887	40,277
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,464	6,020	4,454	6,146	44,083

წმინდა საბალანსო ღირებულება	საოფისე აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯისა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ:
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობა	448,837	4,152	5,998	13,151	472,139
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	847,532	11,794	7,839	8,264	875,430

13. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ადგილობრივი მოწოდებლები	129,011	0
არარეზიდენტი მომწოდებლები	839,800	732,955
სულ სავაჭრო დავალიანებები	968,811	732,955

14. აღებული სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მიღებული აქვს მოკლევადიანი (ოვერდრაფტი) და გრძელვადიანი სესხები სს ვითიბი ბანკისგან:

მიღებული სესხის	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საკონტრაქტო თანხა ნომინალში	ვალუტა	% განაკვეთი	ვალუტაში 31.12.2018	ლარში 31.12.2018
სს ვი თი ბი ბანკი (ოვერდრაფტი)	31-12-18	მიმდინარე	106,612	ლარი	10.50%	106,612	106,612
სულ მოკლევადიანი სესხები ლარში							106,612

მიღებული სესხის	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საკონტრაქტო თანხა ნომინალში	ვალუტა	% განაკვეთი	ვალუტაში 31.12.2018	ლარში 31.12.2018
სს ვი თი ბი ბანკი	27-07-18	13-06-23	140,000	ევრო	5.90%	128,077	393,209
სს ვი თი ბი ბანკი	31-07-17	12-01-26	529,584	ლარი	10.50%	426,552	426,552
სულ გრძელვადიანი სესხები ლარში							820,436

15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიაში საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიის ერთ-ერთი მესაკუთრე დავით ჩქოფოია (პ/ნ 19001024209) ამავედროულად ფლობს შპს „ნიუ ფარმა New Pharma“ 16.6% (რომელზეც გაცემულია მოკლევადიანი სესხი). ორივე კომპანიას: შპს „ნიუ ფარმა New Pharma“ და შპს New Pharm Group LTD ყავთ საერთო დირექტორი ნიკოლოზ იმერლიშვილი

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს.

